თბილისის ურბანული გარემოს ასახვა მეოცე საუკუნის ქართულ კინოში

მაგისტრანტი

ლევან მიქელაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების და მეცნიერების ფაკულტეტზე კინომცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: სახელოვნებო თეორიისა და პრაქტიკის კვლევები

(კინომცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ნინო მხეიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაგისტრანტი

ლევან მიქელაძე

29.06.2022

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი შეისწავლის თბილისის ურბანული გარემოს ასახვას მეოცე საუკუნის ქართულ კინოში. წინამდებარე ნაშრომში განხილულია ის მიდგომები რა მიდგომებიც ახასიათებდა მეოცე საუკუნის ქართულ კინოს თბილისთან მიმართებაში.

პოლიტიკა და არქიტექტურა ერთმანეთისგან განუყოფელი მიმართულებაა, რადგან ნებისმიერი პოლიტიკური სისტემა ცდილობს გავლენა მოახდინოს არქიტექტურაზე და არქიტექტურაში გამოხატოს საკუთარი თავი.

კინო ადრეული ეტაპიდანვე გახდა პოლიტიკური აზრის მატარებელი, დასაწყისიდანვე შეიძინა პოლიტიკური დატვირთვა და გახდა იდეოლოგიის ნაწილი.

ქალაქი და კინო ერთმანეთისგან განუყოფელია, რადგან კინო დაიბადა ქალაქში და იქცა ქალაქის ნაწილად, როგორც არქიტექტურულად ისე სოციალური ცხოვრების ასპექტებში.

ურბანული სივრცე მუდმივად განიცდის ცვლილებას, რაც განპირობებულია სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური პროცესით. ურბანულ გარემოში მომხდარი ცვლილებები პირდაპირ აისახება კინოზე, რადგან ქალაქი კინოსთვის არის როგორც მოქმედების სივრცე, ასევე ქალაქი ძალიან ხშირად ხდება ფილმის პერსონაჟი.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია თუ როგორ არის წარმოდგენილი თბილისის მეოცე საუკუნის ქართულ კინოში, რა მიდგომები არსებობს ქალაქთან დამოკიდებულებისას, როგორ აღწერს კინო ქალაქს და ქალაქის ურბანულ სივრცეში მიმდინარე ცვლილებები როგორ აისახება კინოზე.

ABSTRACT

Fallowing paper presents how the Tbilisi urban environment is presented in 20th century Georgian cinema. In this paper shows different ways this topic was approached. Politics and Architecture are integral aspects of society, because every political system tries to express themselves in architecture and leave some kind of trail on it. The cinema was carrier of political ideology from the beginning and it became part of the ideology soon. City and Cinema are integral too, because cinema was born in a city and became part of it, both in Social and Archtectural aspects of city life. Because of ongoing social and political situations, the urban environment is always changing and those changes are reflected on cinema, because city is a playground and stage for cinema and sometimes city, itself, becomes the character of a cinema. Fallowing paper shows and reviews how was Tbilisi represented in 20th century cinema, how does the cinema show changes in the city and urban environment, how those changes are reflected on a cinema pieces itself.